პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

1974 წ.
№82 (5112) 25 აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქ. სსრ-ის მეცნიერებათა აკადემია

ჟურნალ...

თბილისის ცირკში დაიწყო ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. ასპარეზობა გახსნეს უმჩატესი წონის სპორტსმენებმა. გაიმარჯვა ა. სენშინმა (ვოროშილოვგრადი, „ავანგარდი") — 222,5 კგ (95+127,5). II ადგილზე გავიდა ა. ვორონინი (ყემეროვო, „ტრუდი") — 215 (92,5+122,5), III — ა. გნატოვი (ლვოვი, „ლოკომოტივი") — 212,5 (85+127,5). გვიან საღამოს დამთავრდა მჩატე წონის ძალოსანთა ასპარეზობა. დღეს სარბიელზე გამოვა დ. შანიძე.

ვუპირველესებით ოლიმპიონ

პრიზიორები

როგორც ვიუწყებოდით, რიგაში ჩატარდა სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში.

გთავაზობთ პრიზიორთა სიას:

48 კგ. 1. ფ. ყურბანოვი (ბაქო), 2. ე. შამკუმპაროვი (სემიპალატინსკი), 3. ა. ვაინბერგი (ლენინგრადი).

52 კგ. 1. ვ. არუთინოვი (ერევანი), 2. ვ. შატუნოვი (კიროვი), 3. ა. ალიევი (ბაქო).

57 კგ. 1. ფ. მუსტაფინი (მოსკოვი), 2. ა. კუსტოვი (კალინინგრადი), 3. ვ. გრიმაილი (ალმა-ათა).

62 კგ. 1. ა. კაკაკევი (მოსკოვი), 2. ნ. დავიდიანი (კიევი), 3. ვ. ლარცევი (დონის როსტოვი).

68 კგ. 1. შ. ხისამუტდინოვი (მოსკოვის ოლქი), 2. ვ. სპირიდონოვი (მოსკოვი), 3. ვ. კუზმინი (რიგა).

74 კგ. 1. ი. კლინტსონი (რიგა), 2. ი. ბერიშვილი (თბილისი), 3. ა. ნიფტულაევი (ბაქო).

82 კგ. 1. ა. ნაზარენკო (ალმა-ათა), 2. ვ. ჩებოქსაროვი (ტიუმენი), 3. თ. კიკნაძე (თბილისი).

90 კგ. 1. ვ. რეზანცევი (ალმა-ათა), 2. ა. ნისუ (ტალინი), 3. ვ. მუხანოვი (სარატოვი).

100 კგ. 1. დ. ზადვირნიაკი (კიევი), 2. ი. ეკუტიჩი (დონის როსტოვი), 3. ვ. მერკულოვი (ვორონეჟი).

მძიმე. 1. ა. კოლჩინსკი (კიევი), 2. შ. მორჩილაძე (თბილისი), 3. ა. ზელენკო (მინსკი).



საერთო ძალით

ამას წინათ სოვეტსკში (ტულის ოლქი) ჩატარდა რუსეთის ფედერაციის პირველობა სანიჩბოსნო სლალომში. აქვე პარალელურად გათამაშდა „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობა. სტარტზე 106 ნიჩბოსანი გამოვიდა.

ორი დაშვების ჯამში ერთადგილიანი ბაიდარებით ყველას აჯობა რიგელმა სპორტის ოსტატმა ვ. კემერსმა — 250 საჯარიმო ქულა. ს. ციცქიშვილმა რიგელს 4 ქულით „გაუსწრო" და II ადგილს დასჯერდა.

გუნდურ პირველობაში გაიმარჯვა საქართველოს სამეულმა (ს. ციცქიშვილი, ვ. აბჟანდაძე, ვ. მერკოტუნი).

ერთადგილიანი კანოეებით შეჯიბრებაში ტოლი არ ჰყავდა მცხეთელ ტ. გაბრიელიანს.

ხ. ლალიაშვილი.

• • •

სურათზე (მარცხნიდან): ვ. მერკოტუნი, ვ. აბჟანდაძე და ხ. ცრცქიშვილი ასპარეზობის შემდეგ.

ᲙᲐᲜᲝᲔᲜᲘ

ვაჟთა კვარტეტი ე. ესკენდეროვის, ვ. ბოგდანოვის, ს. პესნიაჩევსკისა და ნ. ნაკორენკოს შემადგენლობით 1000 მ სიმაღლიდან შესრულებული ნახტომებით ზედიზედ ექვსჯერ დაეშვა ზუსტად 10 სმ დიამეტრის „შაიბაში". მსაჯებმა მხოლოდ მეშვიდე ნახტომის დროს აღნიშნეს სამიზნიდან გადახრა, თანაც, სულ 0,74 მეტრით. ეს საკავშირო რეკორდია, რომელიც მსოფლიო მიღწევას სჯობს.

მეორე დღეს უზბეკეთის იმავე აეროდრომზე თავი გამოიჩინეს ქალებმაც — სპორტის ოსტატებმა ტ. კოსოვსკაიამ, ნ. მეშანინოვამ, ლ. კორიჩევამ, ვ. დიატლოვამ. ისინი ორჯერ ზუსტად დაეშვნენ „შაიბაში", ხოლო მესამე ცდაზე ცენტრიდან გადახრა 0,42 მეტრი იყო.

დაშვების სიზუსტეზე ერთეულთა შეჯიბრებაში საუკეთესო შედეგს მიაღწია აშხაბადის დოსაააფის ავიასპორტკლუბის აღზრდილმა, კომკავშირელმა ვ. ბოგდანოვმა. იგი დღის სინათლეზე ზედიზედ 30-ჯერ დაეშვა მიზანში...

სულ საჰაერო სპორტსმენებმა, მსოფლიო რეკორდების ცხრილში ათი შესწორება შეიტანეს.

ბ. ᲕᲐᲡᲘᲜᲐ,
სპორტის ოსტატი.

ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲓᲠᲝᲨᲘ

ლენინგრადი, 23 აპრილი. დღეს აქ დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტური.

ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვისა და კიევის დინამოელთა შეხვედრა. მეტოქეები სატურნირო ცხრილში უშუალო მეზობლები არიან, მაგრამ უკრაინელებს 27 მატჩის შემდეგ მოგროვილი ქქონდათ 19 ქულა, მოსკოველებს კი — მხოლოდ 16. ბრძოლა უაღრესად დაძაბული გამოდგა. ტაიმი კიევის დინამოელებმა ქულით მოიგეს — 41:40. ვერც ერთმა გუნდმა ვერც მერე მოიპოვა აშკარა უპირატესობა და ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა — 83:83. დაინიშნა დამატებითი 5-წუთიანი ტაიმი, რომელშიც მოსკოველებმა უფრო ივარგეს და საბოლოოდ სატურნირო ცხრილში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერეს — 93:89.

ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა" კვლავ გაიმარჯვა. ამჯერად მისი „მსხვერპლი" ლენინგრადის „ბურევესტნიკი" იყო — 90:43 (43:25).

ქულას ქულაზე იღებს და ლიდერთა ტრიოს უახლოვდება რიგის ტტტ, რომელმაც უ. სემიონოვას ავადმყოფობის გამო ჩემპიონატი სუსტად დაიწყო. დღეს ლატვიელმა კალათბურთელებმა დაამარცხეს ვილნიუსის „კიბირკშტისი" — 82:56 (40:35).

პირველი დღის დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი) 49:47 (31:24), „უნივერსიტეტი" (ალმა-ათა) — „სტროიტელი" (ფრუნზე) 76:68 (46:33), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (მოსკოვის ოლქი) 61:80 (27:42).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 24 აპრილისთვის

	თ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	28	23
„სპარტაკი" (მოსკ. ოლქი)	28	21
„ურალმაში" (სვერდლოვსკი)	28	21
ტტტ (რიგა)	28	20
„დინამო" (კიევი)	28	19
„დინამო" (მოსკოვი)	28	17
„უნივერსიტეტი" (ალმა-ათა)	28	12
„კიბირკშტისი" (ვილნიუსი)	28	11
„ბურევესტნიკი" (ლენინგრადი)	28	7
„სტროიტელი" (ფრუნზე)	28	6
„სერპ ი მოლოტი" (მოსკოვი)	28	5
„სპარტაკი" (მოსკოვი)	28	5

ᲐᲨᲨ-Ს ᲒᲣᲜᲓᲘ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ

მაისში სსრ კავშირს ეწვევა ამერიკის შეერთებული შტატების კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები. საბჭოთა და ამერიკელი სპორტსმენების ამ ტრადიციულ შეხვედრებს კალათბურთის სამშობლოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ორი მოწინავე ქვეყნის ნაკრები გუნდების ამხანაგური მატჩები მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადების ერთ-ერთ ძირითად ეტაპად მიიჩნიათ.

საქმე ისაა, რომ ამერიკელებს სურთ დაიბრუნონ მიუნჰენის ოლიმპიადაში დაკარგული ჰეგემონია და, ვინაიდან მომავალ ჩემპიონატში თავიანთ მთავარ მეტოქედ სწორედ საბჭოთა გუნდს ხიიჩხევენ, ცხადია, მაისის ტურნეს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ამას წინათ დანიშნეს კალათბურთის ცნობილი სპეციალისტი ლარი ბრაუნი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ბრაუნი თავს ანებებს თავის კლუბს „კეროლაინ კუგარსს". იგი ორივე გუნდში რჩება მწვრთნელად, მაგრამ მაისის ტურნეს დროს და მის შემდგომ პერიოდში ნაკრებთან იმუშავებს.

ასოციეიტედ პრესის კორესპონდენტთან საუბარში ბრაუნმა არ დაასახელა გუნდის შემადგენლობა, მაგრამ ფიქრობენ, რომ ნაკრების ძირითად ბირთვს „კეროლაინის" წევრები შეადგენენ. ცნობილია მხოლოდ ერთი რამ: გუნდი პირველ საწვრთნელ შეკრებას ჩაატარებს 3 მაისს ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტში. საბჭოთა კალეშირში გამომგზავრებამდე ამერიკელები ერთი-ორ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. შესაძლოა მათი მეტოქე ევროპის როხელიძე გუნდიც იყოს.



ᲑᲔᲚᲝᲕᲘ ᲑᲔᲚᲝᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ

ისინი არც ძმები არიან, არც ნათესავები, მხოლოდ გვარი აქვთ ერთი. ამ ორ კაცს აერთიანებს ფანატიკური, უსაზღვრო ერთგულება კალათბურთისადმი. ლიდერები არიან და მუდამ ყველაზე მეტ ქულას აძლევენ თავიანთ გუნდებს. ბოლო წლების მანძილზე ორივე უცვლელი წევრია ქვეყნის ნაკრებისა. განსხვავებული ძალიან ცოტა რამ აქვთ. მოსკოვის არმიელი სერგეი ბელოვი ტანად 190 სანტიმეტრია, 30 წლისაა და აქედან 20 წელი კალათბურთს შესწირა. იგი მუდამ მშვიდადაა, მუდამ ჟურადღებად ქცეულია და ყოველგვარ სიტუაციაში ზუსტად ტყორცნის მოედნის ნებისმიერი წერტილიდან. ალექსანდრე ბელოვი ლენინგრადის „სპარტაკის" წევრია. სიმაღლით 2 მეტრია. უყვარს სწრაფი, ტემპერამენტიანი თამაში. ძალიან საშიშია ფარქვეშ. იგი 23 წლისაა, მაგრამ უკვე მოპოვებული აქვს კალათბურთში არსებული ყველა მაღალი ჯილდო.

როცა ქვეყნის ჩემპიონატებში ეს ორი ბელოვი ხვდება ერთმანეთს, მაყურებელი განსაკუთრებული ინტერესით ადევნებს თვალს ბრძოლას. აქ ისინი ერთმანეთის მეტოქეები არიან, ქვეყნის ნაკრებში კი ერთად იბრძვიან გამარჯვებისთვის, საბჭოთა სპორტის ღირსების დაცვისთვის.

სურათზე: ს. ბელოვი (მარცხნივ) ა. ბელოვის წინააღმდეგ.

ვ. გალაკტიონოვის ტექსტი და ფოტო.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲓᲐᲜ

ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘᲐ

გერმანიის სპორტულ-ტანვარჯიშული კავშირი (გდრ) თავის რიგებში აერთიანებს 2422000 კაცს, ანუ რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის 14,2 პროცენტს. რესპუბლიკაში მუშაობს 170 ათასზე მეტი ფიზკულტურის მასწავლებელი და მწვრთნელი, 82 ათასი მსაჯი. გდრ-ში განსაკუთრებით პოპულარულია სპორტის ისეთი სახეობები, როგორიცაა ფეხბურთი, მძლეოსნობა, ძიუდო, ხელბურთი, ტანვარჯიში.

ბერლინი.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ

ხოჟუვი სილეზიის ერთ-ერთი დიდი სამრეწველო ქალაქია. მეტალურგიული კომბინატების „კოსტიუშკოს" და „ბატორის" პროდუქცია ცნობილია არა მარტო პოლონეთში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ხოჟუვში დამზადებულმა ლიფონის კონსტრუქციებმა, რკინიგზისა და ტრამვაის ვაგონებმა, სასუქებმა და ქიმიკატებმა შორს გაითქვა სახელი.

მაგრამ ხოჟუვი მარტო კარგი მუშებით როდია განთქმული. ამ ქალაქში არის ათზე მეტი დიდი სტადიონი, შვიდი აუზი, 18 საფეხბურთო მინდორი, უამრავი სპორტული დარბაზი და მოედანი. ქალაქის 60 სკოლას საკუთარი სპორტული კლუბები აქვს. პოლონეთში იშვიათად შეგხვდებათ სპორტის მოყვარული, სილეზიის გიგანტ სტადიონს რომ არ იცნობდეს. ეს სტადიონი პოლონური სპორტის ბევრი ტრიუმფის მოწმეა.

ხოჟუვის სპორტულ საზოგადოებებში ერთ-ერთი ყველაზე „ხნიერია" კლუბი „რუხი", რომელიც 50 წელზე მეტია არსებობს. ამ კლუბის ფეხბურთელებს თერთმეტჯერ აქვთ მოპოვებული გამარჯვება პოლონეთის ჩემპიონატებში. მაგრამ შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ხოჟუვს მხოლოდ ფეხბურთმა მოუტანა სპორტული დიდება. პოლონეთშიც და მის ფარგლებს გარეთაც არანაკლებ განთქმული არიან ამ ქალაქის ხელბურთელები, ფრენბურთელები, კალათბურთელები, მძლეოსნები.

Ა. ᲞᲝᲢᲝᲪᲜᲘᲜᲘ.

ხოჟუვი.

ᲡᲐᲯᲔᲚᲘᲡ ᲞᲝᲢᲔᲘᲗᲠᲝᲜᲘ

წერილი რედაქციას

როდის მოეღება ბოლო სიყალბეს?

ამ წერილში ლაპარაკი გვექნება სამწუხარო შემთხვევაზე, იმაზე, თუ ვის აქვს დავალებული ჩვენი შვილების სპორტული დაოსტატება და რას ასწავლის მათ ფეხბურთელთა მწვრთნელი გ. იოლჩიდი.

1974 წლის 31 მარტს, 16 საათსა და 40 წუთზე, საქართველოს ტელევიზიით გადაიცა თბილისში გამართული შეჯიბრების მონაწილე მინიფეხბურთელთა დაჯილდოების ცერემონიალი. მოგახსენებთ, რომ ამ შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ 1962-1963 წლებში დაბადებულ ბავშვებს, საშუალო სკოლების მოსწავლეებს.

ჩვენ, მშობლებს, კარგად გვესმის, რომ არდადეგების პერიოდში ბავშვებისთვის ასეთი შეჯიბრების ჩატარება საუცხოო ღონისძიებაა და დიდ მადლობასაც მოვახსენებთ ასპარეზობის ორგანიზატორებს. მაგრამ სამწუხაროა, რომ უფროსი ადამიანები, მწვრთნელები, პედაგოგები თუ მშობლები სავსებით შეგნებულად ასწავლიან 11-12 წლის ბავშვებს ათასგვარ მაქინაციებს, სთხოვენ ყალბი დაბადების მოწმობებისა და მოსწავლის ბილეთების გაკეთებას, გამოჰყავთ მოსწავლეები სხვისი გვარით. მშობლები პროტესტს ვაცხადებთ ჩვენი შვილების ასეთი აღზრდის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ ეს სიყალბე მიგვიყვანს მილიციის ორგანოებამდე, პროკურატურამდე და სახალხო სასამართლომდე, ვიცით, რომ ეს ყველაფერი შეიძლება ციხით დამთავრდეს.

...მე, მოსწავლე შენგელიას მშობელი, 31 მარტს ჩემთვის შინ ვზივარ და ტელევიზორს ვუყურებ. ჩემი ვაჟი მერაბიც გვერდით მიზის. აი, თბილისის ტელევიზიის პირველი პროგრამით დაიწყეს გათამაშების მონაწილეთა დაჯილდოების ცერემონიალის გადმოცემა. დიქტორი ცალ-ცალკე ასახელებს სოხუმის ფეხბურთელთა გუნდის წევრებს, რომელთაც ჯილდოები უნდა გადასცენ. აი, როგორც საუკეთესო მეკარე, გამოიძახეს მერაბ შენგელია, ესე იგი ჩემი ვაჟი, რომელსაც ფეხბურთთან საერთო არაფერი აქვს და არც თბილისში წასულა. სინამდვილეში ჯილდო მიიღო სულ სხვამ — მე-5 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლემ გია შაქაიამ, დაბადებულმა 1960 წელს. ჩემი ვაჟი კი მე-5 სკოლის V კლასის მოსწავლეა.

როცა ჩემს შვილს კარგად გამოვკითხე საქმის ვითარება, გამოირკვა, რომ ამ გათამაშების მონაწილე „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდში თითქმის ყველა წევრი (გარდა ორისა) ასაკს ჭადაცილებული იყო. ამიტომ ყველას ჰქონდა ყალბი დაბადების მოწმობები და მოსწავლის ბილეთები.

1960 წელს დაბადებული, მე-5 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე გია შაქაია თამაშობდა იმავე სკოლის IV კლასის მოსწავლის, 1968 წელს დაბადებული მერაბ შენგელიას სახელით;

1960 წელს დაბადებული, მე-16 საშუალო სკოლის რუსული სექტორის VI კლასის მოსწავლე ვიტალი აირანპეტანი გამოდიოდა ჭანაშიას გვარით;

1960 წელს დაბადებული, მე-5 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლე ტარიელ გეგეჭკორი გამოდიოდა მე-18 საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლის, 1962 წელს დაბადებული ვალერი რატიანის სახელით;

მე-5 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეს, 1960 წელს დაბადებულ თენგიზ გაბუნიას მეტრიკა გადაკეთებული ჰქონდა;

მე-5 საშუალო სკოლის VI კლასის მოსწავლეს, 1961 წელს დაბადებულ ვეფხვია ქართველიშვილს დაბადების მოწმობა ჰქონდა გადაკეთებული...

ჩვენ, მშობლებს, რა თქმა უნდა, გვიყვარს სპორტი და გვინდა ჩვენი ბავშვებიც მისდევდნენ მას. მაგრამ, როცა ნორჩებს ასწავლიან ათასგვარ სიხაძაგლესა და ბინძურ გამოხდომებს, ყალბი საბუთებით სარგებლობას, მაქინაციებს, სხვისი გვარით გამოსვლას, ეს არაჯანსაღი მოვლენაა, რამაც შეიძლება სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანოს.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვხვდება შემთხვევები, როცა ცალკეულ სპორტსაზოგადოებებში მუშაობენ ყალბისმქმნელი და უქნარა მწვრთნელები. ისინი არავითარ მაქინაციებს არ ერიდებიან, შეჯიბრებებში დაწესებულ ასაკზე 2-3 წლით უფროსი მოზარდები გამოჰყავთ. ჩვენ ვიცით, წლებში სხვაობას დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ასაკში, მაგრამ მწვრთნელები ამას სავსებით შეგნებულად აკეთებენ, რათა შეჯიბრებებში კარგად გამოვიდნენ და დაიფაროს მათი ცუდი მუშაობის კვალი, არ გამომჟღავნდეს ის ამბავი, რომ სინამდვილეში მათ არ შესწევთ ნორჩებთან მუშაობის, ბავშვების აღზრდის უნარი.

ჩვენ, მშობლებმა, ვიცით, რომ ბავშვებში პატიოსნება ადრეული ასაკიდანვე ისახება. უფროსები ვალდებული არიან გაუფრთხილდნენ ამ თვისებას, გააღვივონ იგი. და თუ ისინი ამ ვალდებულებას კეთილსინდისიერად მოეკიდებიან, ბავშვი პატიოსან ადამიანად გაიზრდება.

მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, მწვრთნელი გ. იოლჩიდი ამას ვერ ხვდება. იგი აგერ უკვე 18 წელია ატეუუებს საზოგადოებრიობას და სპორტის მოყვარულებს. 1972 წელს გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე გამოქვეყნდა წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ სოხუმის „დინამოს“ ჭაბუკთა გუნდი ფინალში გავიდა, მაგრამ იოლჩიდი, რომელსაც რამდენიმე ჭაბუკის საბუთები ყალბად შეედგინა, ამხილეს და გუნდი გათამაშებიდან მოიხსნა. 1973 წელს მინიფეხბურთელთა ასპარეზობაში მან ასევე ასაკს გადაცილებული ბავშვები გამოიყვანა, მაგრამ ეს შერჩა.

ამჟამად იოლჩიდის საქართველოს პირველობაში გამოჰყავს ფეხბურთელთა კიდევ ერთი გუნდი, რომელიც 1958-1959 წლებში დაბადებული ჭაბუკებით უნდა იყოს დაკომპლექტებული. ამ გუნდშიც თამაშობს ერთი ახალგაზრდა ფეხბურთელი, მე-4 საშუალო სკოლის მოსწავლე, 1956 წელს დაბადებული ვ. პოპანდოპულო. იგი ორი წლით უფროსია დანარჩენებზე. დამახასიათებელია, რომ იოლჩიდის სხვა ქალაქებში მიჰყავს გუნდი, რომლის მოთამაშეთა თითქმის 80 პროცენტი ასაკს გადაცილებულია. მწვრთნელს მათთვის გამზადებული აქვს ყალბი დაბადების მოწმობები და ასევე ყალბი მოსწავლის ბილეთები.

როგორც ხედავთ, იოლჩიდი სისტემატურად ეწევა ათასგვარ სიყალბეს და მაქინაციებს. განა არ არის დრო, ასეთი საქმისნები ვამხილოთ და საკადრისად დავსაჯოთ?!

ჩვენთვის ძალიან უსიამოვნოა, რომ ტელევიზია და გაზეთი შეცდომაში შეჰყავს ორ არაკეთილსინდისიერ კაცს (იოლჩიდის მხარში უდგას დ. გოლავა, როგორც მას აქ ეძახიან, მწვრთნელი გამცილებელი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს ფეხბურთთან. მწვრთნელები ამეცადინებენ ნორჩებს,- გოლავას კი შეჯიბრებებზე დაჰყავს ისინი). ყოველივე ეს, ცხადია ცუდ გავლენას ახდენს ნორჩებზე.

ბავშვები იქამდე მივიდნენ, რომ კარგად სწავლა საჭიროდ აღარ მიაჩნიათ — სულ ერთია, სიმწიფის ატესტატს, როგორსაც მოვინდომებთ, ისეთს მივიღებთო. ბავშვებს სჯერათ, რომ გიორგი იოლჩიდი მათთვის გაუჩენელა გაჩენს. რა ბეჭედი და ბლანკი უნდა იყოს ისეთი, რომ მან ვერ იშოვოს. აი, ეს რწმენაა ბავშვების ყველაზე დიდი მტერი, რომელიც დამღუპველად მოქმედებს მათს აკადემიურ მოსწრებაზე.

სწორედ ამიტომ, მშობლები მოგმართავთ თხოვნით, რომ სანამ გვიან არ არის, დაადგინოთ ვინ უდასტურებდა იოლჩიდის ამ ყალბ ცნობებსა და მოსწავლის ბილეთებს? ხომ ცხადია, რომ ბავშვები ასეთ სიცრუეს ვერ მოიგონებდნენ. ისინი ვერც სიყალბეს ჩაიდენდნენ დამოუკიდებლად. ესე იგი, აქ უთუოდ უფროსების ხელი ურევია. როდის მოეღება ბოლო ამ თვალის ახვევას?

ყოველგვარი შემდგომი უსიამოვნებისა და ახალი სიყალბის თავიდან ასაცილებლად სჯობს ამთავითვე ვამხილოთ დანაშაული, ხოლო დამნაშავეები, რომლებიც ბავშვებს ათასგვარ მაქინაციებს და უპატიოსნო გზით სიარულს აჩვევენ, საქვეყნოდ მკაცრად დავსაჯოთ. ჩვენმა ბავშვებმა უნდა იცოდნენ, რომ ადამიანები, რომლებიც თავიანთი მავნე საქციელით ზიანს აყენებენ საზოგადოებას და ახალგაზრდა კადრების აღზრდას, დაუსჯელი არ დარჩებიან.

მშობლები: შენგელია, ქარდავა, ნიკოლაიშვილი, ნიკიტინი.

სოხუმი.

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობა

გათამაშების ცხრილი

I ლიგა

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ბ.-11	ქ.
„დინამო“ (მინსკი)	3	3	0	0	8—4	—	6
„ნეფთჩი“ (ბაკო)	3	2	1	0	5—1	—	5
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	3	2	1	0	4—1	3—3	5
ასკ (დონის როსტოვი)	2	2	0	0	5—2	—	4
„ტორპედო“ (ქუთაისი)	3	2	0	1	4—1	—	4
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	3	2	0	1	4—2	—	4
„უუბანი“ (კრასნოდარი)	2	1	1	0	4—2	—	3
„ზენიტი“ (პერმი)	3	1	1	1	4—4	—	3
„შინნიკი“ (იაროსლავლი)	3	1	1	1	4—5	—	3
„სტრო�იტელი“ (აშხაბადი)	3	1	1	1	2—3	3—3	3
„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე)	3	1	0	2	5—6	—	2
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	3	1	0	2	2—3	—	2
„კუზბასი“ (კემეროვო)	3	1	0	2	1—4	—	2
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	3	1	0	2	1—4	—	2
„მეტალურგი“ (ზაპოროჟიე)	2	0	1	1	2—3	—	1
„სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი)	2	0	1	1	1—2	—	1
„ტავრია“ (სიმფეროპოლი)	2	0	1	1	0—1	3—3	1
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	2	0	1	1	0—1	3—3	1
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	3	0	1	2	2—5	—	1
„პამირი“ (დუშანბე)	3	0	1	2	2—6	—	1

გათამაშების ცხრილი

II ლიგა
III ზონა

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ბ.-11	ქ.
„დინამო“ (კიროვაბადი)	3	3	0	0	6—2	—	6
„დინამო“ (ბათუმი)	3	2	1	0	5—1	—	5
„ბურინა“ (ლანჩხუთი)	3	1	2	0	3—1	4—4	4
„ისკრა“ (სმოლენსკი)	3	2	0	1	3—2	—	4
„შირაკი“ (ლენინაკანი)	3	1	1	1	4—3	—	3
„ხიმიკი“ (ძერჟინსკი)	3	1	1	1	4—3	—	3
„დინამო“ („ზუგდიდი)	3	1	1	1	3—2	—	3
„ლოკი“ (კიროვაკანი)	3	1	1	1	3—2	—	3
„დინამო“ (სტავროპოლი)	3	0	3	0	3—3	—	3
„კოლხეთი“ (ფოთი)	3	1	1	1	2—2	—	3
„დინამო“ (ვოლოგდა)	3	1	1	1	2—2	—	3
„ურალანი“ (ელისტა)	3	1	1	1	1—1	4—4	3
„დილა“ (გორი)	2	1	0	1	2—2	—	2
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	2	1	0	1	2—2	—	2
„ტორპედო“ (ვლადიმირი)	3	1	0	2	3—4	—	2
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	3	0	2	1	1—3	4—4	2
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	3	1	0	2	2—5	—	2
„მერცხალი“ (მახარაძე)	2	0	1	1	0—2	4—4	1
„დინამო“ (ბრიანსკი)	2	0	0	2	0—4	—	0
„ფოლადი“ (სუმგაითი)	3	0	0	3	0—5	—	0

4-4 გუნდი ქვეჯგუფებიდან

დამთავრდა მოზარდ ფეხბურთელთა რესპუბლიკური პირველობის მატჩები ქვეჯგუფებში.

ბოლო ტურმა ასეთი შედეგები მოგვცა:

აღმოსავლეთი ზონა. განათლების განყოფილება (თბილისი) — „განთიადი“ (თბილისი) 7:0, ახალგ. საფეხბ. სკოლა (თელავი) — „დინამო“ (თბილისი) 0:3, მწვრთნელთა სკოლა (თბილისი) — „დილა“ (გორი) 3:0, „მეტალურგი“ (რუსთავი) — „ავაზა“ (თბილისი) 2:0.

დასავლეთი ზონა. „ტორპედო“ (ქუთაისი) — „დინამო“ (ბათუმი) 1:3, „დინამო“ („ზუგდიდი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 9:1, ახალგ. საფეხბ. სკოლა (გაგრა) — „დინამო“ (სოხუმი) 0:2. სამტრედიის „ლოკომოტივს“ მოგება ჩაეთვალა ლანჩხუთის „გურიასთან“, ხოლო ქუთაისის განათლების განყოფილების გუნდს — ფოთის „კოლხეთთან“.

გთავაზობთ გათამაშების საბოლოო ცხრილებს:

აღმოსავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (თბილისი)	8	6	1	1	18—4	13
განათ. განყ. (თბილისი)	8	5	3	0	16—2	13
ახ. საფ. სკ. (თბილისი)	8	4	4	0	19—6	12
მწვრთნელთა სკოლა (თბილისი)	8	4	2	2	13—7	10
„ავაზა“ (თბილისი)	8	2	2	4	10—14	6
„დილა“ (გორი)	8	2	2	4	6—10	6
„განთიადი“ (თბილისი)	8	2	1	5	5—22	5
„მეტალურგი“ (რუსთავი)	8	2	1	5	8—15	5
ახ. საფ. სკ. (თელავი)	8	0	2	6	2—17	2

დასავლეთი ზონა

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (ბათუმი)	9	8	0	1	27—7	16
განათ. განყ. (ქუთაისი)	9	6	1	2	17—10	13
„დინამო“ (სოხუმი)	9	6	1	2	25—15	13
„ტორპედო“ (ქუთაისი)	9	5	2	2	21—10	12
ახ. საფ. სკ. (გაგრა)	9	5	1	3	12—15	11
„კოლხეთი“ (ფოთი)	9	4	1	4	16—14	9
„მერცხალი“ (მახარაძე)	9	3	1	5	13—29	7
„დინამო“ („ზუგდიდი)	9	2	1	6	16—22	5
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)	9	1	1	7	6—20	3
„გურია“ (ლანჩხუთი)	9	1	1	7	8—19	3

ჩემპიონობისთვის ბრძოლა თითოეულ ზონაში პირველ ოთხ ადგილზე გასულ გუნდებს შორის ჩატარდება ოლიმპიური სისტემით, ორმატჩიანი სერიებით საკუთარ და მეტოქის მინდვრებზე.

ფინალური მატჩები ჩატარდება 28 აპრილიდან 3 მაისამდე.

გუნდები კენჭისყრით ასეთი თანმიმდევრობით განლაგდნენ: „ტორპედო“ (ქუთაისი), „დინამო“ (თბილისი), მწვრთნელთა სკოლა (თბილისი), „დინამო“ (ბათუმი), „დინამო“ (სოხუმი), განათლების განყოფილება (თბილისი), ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი), განათლების განყოფილება (ქუთაისი).

ᲙᲚᲐᲠᲙᲕᲘᲜ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲡ

კავშირგაბმულობის ზუგდიდის რაიონულ კვანძს ერთ დროს კარგი ფიზკულტურული კოლექტივი ჰყავდა. ამ ორგანიზაციის ფეხბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდები რაიონულ შეჯიბრებებში წარმატებით გამოდიოდნენ. მაგრამ მერე ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა კვანძის მუშამოსამსახურეებში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა ჩაშლილია, მდგომარეობის გამოსწორებისთვის კი აღარავინ ზრუნავს.

ბ. ალუბაია.
(ჩვენი კორ.).

ზუგდიდი.

სპორტი

ᲡᲞᲣᲛᲠᲐᲓ ᲛᲣᲨᲔᲑᲗᲐᲜ

ამას წინათ საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობასთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდის სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ ლენინის სახელობის რაიონულ ორგანიზაციასთან ერთად კიროვის ჩარხსაშენი ქარხნის მუშა-მოსამსახურეებისთვის ახალმექმნილ ლექტორიუმში მოაწყო თემატური საღამო სპორტის აქტუალურ საკითხებზე.

საღამოზე საინტერესო ლექციები წაიკითხეს წარსულში სახელმოხვეჭილმა სპორტსმენებმა: საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ბალავაძემ, სპორტკომბინატ „დინამოს“ დირექტორმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ბ. პაიჭაძემ და ფიზკულტურის ინსტიტუტის ფეხბურთის კათედრის უფროსმა, მასწავლებელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ს. შუდრამ.

სტუმრები ესაუბრნენ ქარხნის მოწინავე მუშებს, უსურვეს მათ წარმატებები.

ბ. კილაძე,
საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობის რეფერენტი.

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲔᲠᲗᲐᲓᲔᲠᲗᲘ

ლალი შარაშენიძემ პისტოლეტის სროლაში ვარჯიში ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მწვრთნელ ა. კოვზირიძის ხელმძღვანელობით დაიწყო. გულმოდგინე მუშაობის შედეგად ახალგაზრდა სპორტსმენმა 1968 წელს რესპუბლიკურ უნივერსიადაში II ადგილი დაიკავა, 1969 წელს კი რესპუბლიკურ შეჯიბრებაში სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა.

მერე ლ. შარაშენიძე დოსაფის სასროლ ოკლუბში თ. თოფურიძის ხელმძღვანელობით ვარჯიშობდა. მან ორჯერ მოიპოვა გამარჯვება ჯერ საქართველოს უნივერსიადაში, მერე — დოსაფის V რესპუბლიკურ სპარტაკიადაში. ლალი სტუდენტთა და დოსაფის რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდებში ჩაირიცხა. სტუდენტთა საკავშირო უნივერსიადაში, რომელიც ვორონეჟში ჩატარდა, მან ვერცხლის მედალი მოიპოვა.

ლ. შარაშენიძე ქუთაისში ერთადერთი სპორტის ოსტატია ტყვიის სმროლელ ქალთა შორის.

შარაშენიძემ ახლახან სოხუმში ჩატარებულ რესპუბლიკურ ჩემპიონატში ისახელა თავი — მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 25 მეტრზე შეჯიბრებაში 578 ქულა მოაგროვა, დაამყარა ქუთაისის, დოსაფის რესპუბლიკური და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს რეკორდები.

ლ. ფაჩუაშვილი.
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

• • •

სურათზე: ლ. შარაშენიძე.
ავტორის ფოტო.

ჩემგასაწყალი წრე

ვ. ივანოვი

როგორც ხშირად ხდება ასეთ შემთხვევებში, უფროსი მწვრთნელი დაიხოვეს. და, როგორც ასევე ხშირად ხდება, „ტორპედო“ უცებ მთელი ძალით ათამაშდა. როცა უკვე ყველაფერი დაკარგული გვეგონა, ხელიხელად დავამარცხეთ „რამდენიმე ლიდერი, მათს რიცხვში — „სპარტაკი“ და ცსკა. ამით ჩვენ ჩავებღაუჭეთ ადგილს, რომელმაც „ბ“ კლასში გადასვლას გადაგვარჩინა.

მაგრამ მე ვერც მარცხის დღეებში და ვერც წარმატებათა პერიოდში ვერაფრით ვეხმარებოდი ჩემს გუნდს. ჩემთვის ზრუნავდნენ, მაკითხავდნენ, მეხმარებოდნენ, მწამლობდნენ, მე კი სამაგიეროს ვერაფრით ვუხდიდი. ტორპედოელები სტადიონზე მიაჩოჩოლან მოდიოდნენ, მე — შინიდან. მატჩის შემდეგ გასახდელში ბიჭები ჯანვლილ თამაშზე ლაპარაკობდნენ, ისხდნენ დაქანცულები, ძლივს იძრობდნენ ოფლიან მაისურებს, იხსნიდნენ ბუცებს, ისე იქცეოდნენ, როგორც იქცევა ყველა, ვისაც მძიმე შრომის შემდეგ დასვენება დამსახურებული აქვს. რომ იცოდეთ, როგორ მიდოდა, მეც ის მეგრძნო, რასაც ისინი გრძნობდნენ, თუნდაც წაგვეგო მატჩი, მეგრძნო ეს დიდი დაღლილობა, ნატკენი, ჯერ კიდევ შიშველი, მაგრად შეკრული ბუცების ტყვეობისგან ასლადგათავისუფლებული და ჯერ კიდევ გახურებული ფეხისგულებით შევხებიდი რბილ ნოხს, მეგრძნო შხაპის თბილი ნაკადი, რომელიც მარილიან, წებოვან ოფლს ჩამომრეცხავდა. ყველაზე მეტად კი ერთი რამ მინდოდა: თავი მეგრძნო იმის მონაწილედ, რაც ახლა ხდებოდა მინდორზე და ხდებოდა აქ, გასახდელში...

ალბათ ადვილად დამიჯერებთ, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში, განსაკუთრებით მატჩების დღეებში, უსაამო ფიქრები მეუფლებოდა. ჯოხს დაყრდნობილი, ფეხმტკივანი, ახლა ქვემოდან შევყურებდი მწვერვალს, რომლის წვერზეც სულ ცოტა ხნის წინათ ვიდექი, რომელზე ასვლასაც ყოველი ფეხბურთელი ნატრობს. მე ეს გზა სწრაფად განვვლე, ბევრ ფეხბურთელზე სწრაფად. მე 21 წლისა ავედი მწვერვალზე. აი, ახლა კი ისევ ქვემოთ ვარ და ვინ იცის, მეღირსება კიდევ როდისმე ასვლა?

მეხსიერებამ თავაზიანად შემახსენა სახელები ბევრი ჩემს ბედში ყოფი ფეხბურთელისა. მათგან ზოგი, ისევე როგორც მოსკოვის „ლოკომოტივის“ ძლიერი მცველი ივანე ლარიონი, იძულებული გახდა გამოთხოვებოდა დიდ წარმატებებზე ფიქრს და თავის გუნდში მეორეხარისხოვან როლს დასჯერებოდა, ზოგმა, ისევე როგორც მოსკოვის დინამოელმა ივანე კონოვმა, ასეთივე ტრავმის შემდეგ სულაც თავის დრომდე ბევრად ადრე მიატოვა ფეხბურთი. ყოველ შეტაკებას ისინი თვეობით გამოჰყავდა მწყობრიდან.

შევძლებ კი ყოველივე იმის შემდეგ, რაც მოხდა, კვლავ მთელი ძალით თამაშს? თუ შევძლებ, როდის? ან, თუ ვითამაშებ, დავჭირდები კი გუნდს? ხომ შეიძლება იმ დროისთვის ჩემს ადგილზე უკვე სხვა, ახალგაზრდა ფეხბურთელი თამაშობდეს და მწვრთნელსაც სავსებით აკმაყოფილებდეს?

მაშ ასე, იანვარში დამრთეს ნება პირველად გავსულიყავი სავარჯიშოზ. ლიდია ივანოვნა — ჩემი კეთილი ანგელოზი — იქ იყო, დარბაზში. როცა მეცადინეობა დამთავრდა, მან ლეიბზე დამაწვინა და ფეხი გამისინჯა. გადავწყვიტე, შევხედავ, რას აკეთებს-მეთქი, და ჩემს თვალებს საშინელი სურათი წარმოუდგა: წვივი მუხლის კვირისტავს თითქოს მოწყვეტილი იყო და ცალკე ყანყალებდა. ჩემს შეწვიერ სხეულთან იგი თითქოს ზოლოდ კახითღა იყო დაკავშირებული, რომელიც, ასე ვთქვათ, ტომრის ბაგივრობას უწევდა.

ლიდია ივანოვნამ ჩემი მზერა შენიშნა და მხნედ თქვა: — ყველაფერი რიგზეა, საქმე ისე მიდის, როგორც საჭიროა... თქვა და გაფითრდა. და მე, სტადიანი ავადმყოფი, რომელსაც ხმის ინტონაციების მიხედვით უკვე მშვენივრად შემეძლო ექიმის სიტყვების ნამდვილი აზრის გამოცნობა, მივხვდი, რომ ჩემი საქმე, მეტი რომ არა ვთქვა, მოლად რიგზე ვერ იყო. ჩემი ეჭვი საბოლოოდ გაფანტა ლიდია ივანოვნას შემდეგმა ფრაზამ:

— ყველაფერი ნორმალურადაა, ხვალ დილით ვარჯიშის მაგივრად მიღებაზე მოხვალ პროფესორ ლანდასთან.

ფეხის გასინჯვის შემდეგ პროფესორმაც მხნედ გამომიცხადა, ყველაფერი რიგზეაო, მაგრამ კატეგორიულად ამიკრძალა ბურთის მიკარება.

— ასეა საჭირო, სანამ ფეხი კარგად გავიმაგრდებოდეს, — ამიხსნა მან, და ერთადერთი წამალი გამომიწერა: სირბილი, სირბილი, სირბილი.

და მე დავიწყე სირბილი — შინ, ოთახში, დარბაზში, ზამთრის მოსკოვის ქუჩებში. დავრბოდი ჯერ თითო კილომეტრზე, მერე — ორზე, მერე — ათზე.

მე არ ვიცოდი, შევძლებდი თუ არა ახლაც უწინდებურად თამაშს, წარმოდგენა აღარ მჭონდა ჩემს ტექნიკაზე და რარიგ გაოცებული დავრჩი, რაც კი გაზაფხულზე გავიგე, რომ კაჩალინმა სოჭში, ნაკრების საწვრთნელ მეცადინეობაზე სხვებთან ერთად მეც მიმიწვია. რომ იცოდეთ, როგორ კავიხარე, როცა მინდორზე გავედი, ბურთი ფეხებში ჩავიგდე და მყისვე ვიგრძენი, რომ, ასეთი ხანგრძლივი გაწბორების მიუხედავად, იგი ისევ ჩემი დამჯერი იყო.

ნატკენ ფეხს კი კიდევ დიდხანს არ გაუხსენებია თავი. მართალია, ზოგჯერ ნახტომის შემდეგ მოუხერხებლად ღაშვებისას ფეხს ვერ ვხრიდი: ჰაეროვნად გაქავებული სისხლის ბურთები მაინც დარჩა მუხლში [illegible] სარში ხვდებოდა, [illegible] ბი სახსრიდან [illegible] ბული ვიყავი კარგა დიდხანს ცალ ფეხზე მეხტუნავა. მაგრამ მე ეს მაინცდამაინც არ მაღარდებდა — რა დიდი საქმე იყო ერთი-ორჯერ ქუსლის მიწაზე დარტყმა... მცოდნოდა მაშინ, რა ბოროტ ხუმრობას დამიწყებდა ეს წყეული სისხლის შენადედი რამდენიმე თვის შემდეგ მელბურნში! მაგრამ ეს იმ დროს საიდან მეცოდინებოდა და ბედნიერიც ვიყავი. ძალით აღსავსე კვლავ მწყობრში დავრჩი და ძინდორზე ისე ვგრძნობდი თავს, როგორც თევზი წყალში.

როგორც ჩანს, ჩემმა „ეზოს სკოლამ“ აქაც ითამაშა თავისი როლი. წლების მანძილზე ყოველდღიური ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად ბურთით თამაშის ჩვევები იმდენად მტკიცედ მქონდა გამომუშავებული, რომ ათ თვეს იძულებითი უსაქმურობით არ დავვიწყებოდა. ამასთან, ჩემდა საბედნიეროდ, არ ვსუქდებოდი და ჩემი საკმაოდ სუსტი სხეულის წონა ახალშორჩენილ მუხლს მაინცდამაინც არ ამძიმებდა. გავლენა მოახდინა იმანაც, რომ მე არასოდეს ვეკუთვნოდი, ასე ვთქვათ, „ძალისმიერ მოთამაშეთა“ რიგს და ვცდილობდი მეტოქისთვის სუფთად ამეკლო კვერდი ტექნიკის მეშვეობით, მომეტყუებინა იგი ორთაბრძოლაში ჩაუბმელად.

ერთი სიტყვით, ჩემნაირად დაშავებული ბევრი მოთამაშისგან განსხვავებით, დიდ ფეხბურთში კიდევ აო წელიწადს დავრჩი და ალბათ მეტხანს დარჩენაც შემეძლო. ყოველ შემთხვევაში, ასაკი და ავადმყოფობა არ ყოფილა ჩემი წასვლის მიზეზი, თუმცა, ამაზე მერე ვიტყვი.

მაშინ კი, 1956 წლის ზაფხულის დამდეგს, ოლიმპიადამდე რამდენიმე თვით ადრე, მე მადლობელი ვიყავი ნაკრების მწვრთნელის კაჩალინისა და „ტორპედოს“ ახალი მწვრთნელის ბესკოვისა იმისთვის, რომ მათ კვლავ უყოყმანოდ მომანდეს ადგილი თავიანთი გუნდების ძირითად შემადგენლობაში. ეს იმის ნიშანი იყო, რომ ჩემში მათ აღიარეს ნამდვილი ფეხბურთელი, მაღალი დონის, სტაბილური მოთამაშე.

ხოლო „ტორპედოში“ კაპიტნადაც კი ამირჩიეს — ლენტი მივიღე ავგუსტინ გომესისგან, ფეხბურთელისგან, რომელიც არა მარტო ჰოპულარული იყო, არამედ უდიდესი ავტორიტეტიც ჰქონდა მოპოვებული თავისი განვითარების, სერიოზულობის, ფეხბურთის ღრმა გაგებისა და თამაშის ხელმძღვანელობის უნარის წყალობით. და გომესის შემდეგ კაპიტანი გავხდი ბე — ჯერ კიდევ ახალგაზრდა ბიჭი, რომელსაც ჯერ არაფერი ჰქონდა გაკეთებული და მხოლოდ მომავლისკენ იძლეოდა რაღაც იმედს, რომელსაც ჩვენი ფეხბურთის მთელი მაშინდელი ისტორიის მთავარ მატჩში — გფრ-ის ნაკრებთან შეხვედრაშიც კი არ მაუღია მონაწილეობა.

მე არც უწინ მიყვარდა და არც ახლა მიყვარს მაღალფარდოვანი სიტყვები. სენტიმენტალური არასოდეს ვყოფილვარ. ამიტომ არც ხმაღაღლა, არც გუნებაში არავის მისამართით არ წარმომოქვამს სამადლობელი სიტყვები და არც ხელები გამიშვერია ცისკენ მუნჯი აღტაცების ნიშნად. მაგრამ ვიგრძენი, რომ ამ შემოდგომაჟ, ზამთარმა, გაზაფხულმა ბევრი თვალსაზრისით სულ სხვა ადამიანად მაქცია, რომ მე კაცი გავხდი, როცა ხამდვილი ნდობის ფასი გავიგე.

არა, ჩემი თავისა და მკითხველის წინაშე მართალი არ ვიქნებოდი, რომ მეთქვა, იმ ზაფხულის შემდეგ „გამჯოლ ბიჭად“ ვიქეცი, სანიმუშო, საჩვენებელი ფეხბურთელი გავხდი, აღარაფერი შემშლია, სამაგალითო ვიყავი მინდორზეც და ცხოვრებაშიც-მეთქი. არა, ცხოვრება რთულია. ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. ჭკუადამჯდარი, მოწიფული ხალხიც ცდება და ბევრჯერ კიდეც წაიბორძიკებს ხოლმე. უბრალოდ, მე მინდა ვთქვა, რომ ამ ერთი წლის ათ თვეში ჩამოყალიბებულ ადამიანად ვიქეცი.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება, იხ. „ლელო“ №№ 42, 45, 46, 47, 56, 57, 60, 61, 64, 66, 70, 71, 75.

ფეხბურთი

სეზონის ბოლოს

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები.

პირველი ჯგუფი

● „ კოლხეთი“ (ხობი) — „განთიადი“ (ასეთი სახელწოდებით თამაშობს თბილისის დინამოროვის სახელობის საავიაციო ქარხნის გუნდი) 0:0. მსაჯი გ. პოღოსიანი (სოხუმი).

საუკეთესოდ ითამაშა თბილისელთა მეკარე ნებიერიძემ, რომელმაც თავისი გუნდი წაგებას გადაარჩინა.

● „სულორი“ (ვანი) — „ეგრისი“ (ცხაკაია) 0:2. მსაჯი უ. ძნელაძე (თბილისი).

თავი გამოიჩინა ნიკოლაიშვილმა, რომელმაც ორივე ბურთი გაიტანა მასპინძელთა კარში.

● „კახეთი“ (თელავი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1. მსაჯი ლ. ღონღაძე (თბილისი).

გოლი მე-80 წუთზე გაიტანა კაჭარხიძემ.

გაფრთხილება მიიღეს თელაველმა თ. ბორჩაშვილმა და რუსთაველმა ვ. ავერინმა.

● „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 1:1. მსაჯი თ. გრიგორაშვილი (თბილისი).

მე-5 წუთზე „სალხინოს“ მეკარისა და მცველების შეუთანხმებლობა კარგად გამოიყენა გაბაევმა და ანგარიში გახსნა. მეორე ტაიმში მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ და ოდიშარიამ გაქვითა კიდეც გოლი.

გაფრთხილებული არიან ცხინვალელი ფეხბურთელები პ. ვახტანგიშვილი, ჯ. ოღლაევი და ი. ჩეხოევი.

● „ქართლი“ (გორის რაიონი) — „მეშახტე“ (ტყიბული) 2:1. მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ქერდიკაშვილმა და რევაზიშვილმა, ხოლო „მეშახტის“ მხრივ — აუშტროვმა.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 4:0. მსაჯი ო. ალავიძე (თბილისი).

სტუდენტებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. გოლები გაიტანეს არაქელოვმა, ბადუაშვილმა, სართანიამ და თუნთიამ.

● „მაღაროელი“ (ტყიბული) — „შუქურა“ (ქობულეთი) 1:0. მსაჯი რ. ტალიაშვილი (თბილისი).

საგრძნობი უპირატესობის მიუხედავად, მაღაროელები აბაშიძის ერთადერთ ბურთს დასჯერდნენ.

● „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ოვერია“ (ხაშური) 4:0. მსაჯი ვ. მიმინოშვილი (თბილისი).

● „ვარძია“ (ახალციხე) — ასკ (თბილისი) 1:3. მსაჯი გ. ლოსაბერიძე (ქუთაისი).

მასპინძელთა კარში ბურთები გაიტანეს ლომიძემ, დარჯანიამ და უსუნიანმა. ერთადერთი გოლი გაქვითა ფართლაძემ.

უხეში თამაშისთვის გაფრთხილებულია არმიელი ა. ზუკაკიშვილი.

● „ამირანი“ (ოჩამჩირე) — „დინამო“ (სოხუმი) 1:1. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

მატჩი საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში ჩატარდა. პირველ წარმატებას მიაღწიეს ოზამჩირელებმა (დარასელია). თამაშის დასასრულს ხარაბაძემ შეძლო საპასუხო ბურთის გატანა.

გაფრთხილებული არიან ვ. ასტვაცატურიანი, მ. გოგოხია (ორივე — „ამირანი“) და გ. კაბაკოვი („დინამო“).

მეორე ჯგუფი

I ზონა

„ცისკარი“ (სიღნაღი) — „მადნეული“ (ბოლნისი) 0:0, „სამცხე“ (აწყური) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 2:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „განთიადი“ (კასპი) 4:0, „დურუჯი“ (ყვარელი) — „ყინწვისი“ (ქარელი) 5:0, „კოლმეურნე“ (ბორჯომი) — „რუბეროიდი“ (გარდაბანი) 7:0. ადიგენის „განახლებას“ მოგება ჩაეთვალა დუშეთის „არაგვთან“.

II ზონა

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 2:2, „მზიური“ (გალი) — „კოლმეურნე“ (ლანჩხუთი) 0:0, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „ბახმარო“ (ჩოხატაური) 1:1, „განთიადი“ (აბაშა) — „სქური“ (წალენჯიხა) 1:0, ხის დამუშავებელი კომბინატი (სამტრედია) — „გიგანტი“ (ლაითური) 0:0.

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 25 აპრილისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ასკ (თბილისი)	5	3	2	0	10—2	8
„მეტალურგი“ (რუსთავი)	5	3	2	0	7—1	8
„მაღაროელი“	5	3	1	1	8—2	7
ფიზკ. ინსტ. (თბილისი)	5	2	3	0	7—2	7
„ლოკომოტივი“	5	2	2	1	9—5	6
„მეტალურგი“ (ზესტაფონი)	5	2	2	1	7—5	6
„კახეთი“	5	3	0	2	8—7	6
„სალხინო“	5	1	4	0	3—2	6
„კოლხეთი“	5	1	3	1	3—2	5
„ქართლი“	4	2	1	1	6—7	5
„ეგრისი“	5	2	1	2	5—6	5
„ამირანი“	5	2	1	2	3—4	5
„დინამო“	5	1	2	2	7—4	4
„მეშახტე“	5	1	2	2	6—8	4
„განთიადი“	5	1	2	2	4—6	4
„ვარძია“	5	2	0	3	6—13	4
„სულორი“	5	1	1	3	3—10	3
„სპარტაკი“	5	0	2	3	3—8	2
„ოვერია“	5	1	0	4	3—11	2
„შუქურა“	4	0	1	3	1—4	1

სპორტტექნიკურ კომისიაში

ჩვენი გაზეთის მკითხველი, რომელიც თვალს ადევნებს საქართველოს პირველობის გათამაშებას, ადვილად შეამჩნევდა, რომ ყოველი ტურის მიმოხილვითს წერილში არიან დასახელებული წესრიგის დამრღვევი ფეხბურთელები. მინდვრიდან გაძევება და გაფრთხილებები თან სდევს თითქმის ყოველ მატჩს.

რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა მოუთმენელია. უხეშობას და წესრიგის დარღვევას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს, მით უმეტეს, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის მიერ მკაცრი ზომებია დაწესებული უდისციპლინოთა მიმართ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკური კომისია სათანადო ზომებს მიმართავს წესრიგის დამრღვევთა მიმართ, მაგრამ მხოლოდ სასჯელით საქმე არ გაკეთდება. გათამაშების მონაწილე ყოველი გუნდის ხელმძღვანელობამ, ადგილობრივმა ფიზკულტურულმა ორგანიზაციებმა აღმზრდელობითი მუშაობა უნდა გასწიონ თავიანთ კოლექტივებში, რათა აღმოიფხვრას უმსგავსოებანი ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე.

სპორტტექნიკურმა კომისიამ თავის სხდომაზე განიხილა მომხდარ დარღვევათა შემთხვევები. ტყიბულის „მეშახტისა“ და გეგეჭკორის „სალხინოს“ შეხვედრაში ჩადენილი უწესობისთვის 5-5 მატჩით მიეცათ დისკვალიფიკაცია ტ. გამყრელიძეს, დ. აბაშიძეს, (ორივე — „მეშახტე“) და ს. ანაკავას („სალხინო“). რუსთავის „მეტალურგის“ მოთამაშე თ. მიქაშავიძე მინდვრიდან გააძევეს, რისთვისაც მიიღო დისკვალიფიკაცია 2 მატჩით.

20 აპრილს ადიგენის „განახლება“ დუშეთის „არაგვს“ მასპინძლობდა. „არაგვის“ ფეხბურთელებს ლ. კობიაშვილს და ნ. სონინშვილს არ მოეწონათ მსაჯის გადაწყვეტილება და მათი თაოსნობით გუნდმა მინდორი დატოვა. დუშეთის „არაგვი“ პირობით მოხსნილია გათამაშებიდან და თუ იქ კვლავ მოხდება დისციპლინის დარღვევა, პირობითი სასჯელი ძალაში შევა. კობიაშვილი და სონინშვილი დისკვალიფიცირებული არიან 5-5 მატჩით.

ეს მხოლოდ ნაწილია იმ სანქციებისა, რომლებსაც მიმართავ სპორტტექნიკურმა კომისიამ.

ფეხბურთი და... პოლიცია

ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური თამაშებისთვის გულმოდგინედ ემზადებიან არა მარტო შეჯიბრების მონაწილენი და, რასაკვირველია, ორგანიზატორები, არამედ... დასავლეთ გერმანიის პოლიციელებიც. შესაძლებელი ტერორისტული აქტებისა და ზედმეტად თავგამოდებული გულშემატკივრების შიშით პოლიციამ ღონისძიებათა მთელი სისტემა დაამუშავა. სტადიონები გარშემორტყმული იქნება პოლიციელთა პატრულით — 400-500 კაცით. ტრიბუნებზე ყოველი მეასე მაყურებელი გადაცმული პოლიციელი იქნება. გარდა ამისა, გათვალისწინებულია პოლიციელთა მორიგეობა მატჩების დროს მინდვრის ირგვლივ, სარბენ ბილიკზე.

ოლიმპიური სტადიონის ღობეს სამ მეტრამდე ამაღლებენ.

პოლიციის ორგანოები მოაწყობენ სადღეღამისო მორიგეობას გუნდების დასაცავად. შემოღებული იქნება დეტექტივების მორიგეობაც ფეხბურთელთა გასახდელების წინ. პოლიციას ყოველი გუნდისთვის გამოყოფილი ჰყავს ორ-ორი გადაცმული მოხელე, რომელთაც დავალებული აქვთ საფოსტო ამანათებისა და ცალკეულ ფეხბურთელთა მისამართით გაგზავნილი წერილების შემოწმება (პოლიციას თვითნაკეთი ბომბებისა ეშინია).

ამჟამად მიუნჰენის პოლიციის კომისარიატში სწავლულთა და კრიმინალისტთა ჯგუფი მუშაობს ელექტრული და ქიმიური კონტროლის მეთოდებზე გულშემატკივართა ჯიბეებში ასაფეთქებლების ადმოსაჩენად.

სტადიონებს ყოველი მატჩის წინ საგულდაგულოდ შეამოწმებენ, როგორც სამზავრო ავიალაინერებს ამოწმებენ ხოლმე სტარტის წინ. იქმნება ტელეკამერების სისტემა მაყურებლებზე მეთვალყურეობის დასაწესებლად.

მაგრამ, როგორც გაზეთები წერენ, პოლიციის წინაშე გადაუწყვეტელი პრობლემებიც დგას. მაგალითად, არიციან როგორ გადაწყვიტონ იმ სპორტსმენთა დაცვის საკითხი, რომლებიც ღამით სეირნობას მოისურვებენ.

რას იზამ, ეს ყოველივე, როგორც იტყვიან, ჯარი ცსოვრების შედეგი არ უნდა იყოს.

ვ. ივანოვი.

(საკდესის კორ.).

ბონი.

მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩები

პეტროსიანი — კორჩნოი 1:2

(1 ყაიმი)

გთავაზობთ პეტროსიან-კორჩნოის მატჩის IV პარტიას. მასში გათამაშდა გრიუნფელდის დაცვის მშვიდობიანი ვარიანტი, რომელიც ცენტრალური პაიკების გაცვლასთანაა დაკავშირებული.

მე-10 სვლაზე კორჩნოიმ შეგნებულად დაუშვა სუსტი პაიკის შექმნა და ფიგურებით თამაშისთვის ნახევრად ღია ვერტიკალი მიიღო.

მე-17 სვლაზე პეტროსიანს აქტიური თამაში შეეძლო მეფის ფრთაზე, მაგრამ შავი მხედრის განდევნა და c5 უჯრის დაპყრობა ამჯობინა. კორჩნოიმ ცენტრში კონტრთამაში მოამზადა და ბრძოლაც გამწვავდა.

22-ე სვლაზე პეტროსიანმა პაიკის შეწირვით დიდი ინიციატივა მიიღო.

39-ე სვლაზე კორჩნოის საათზე ალამი ჩამოუვარდა. მისი პოზიცია უკვე სახარბიელო აღარ იყო.

პეტროსიანი — კორჩნოი

გრიუნფელდის დაცვა

1. d3 d6 2. g3 g6 3. Kg2 Kg7 4. 0—0 0—0 5. c4 c6 6. d4 d5 7. cd cd 8. De5 Kf5 9. Dc3 De4 10. Kf4 Dc6 11. d:c6 bc 12. Da4 ea5 13. ec1 eb4 14. e3 eac8 15. f3 Dd6 16. a3 ea5 17. ec5 ed8 18. Dgh1 ee8 19. ee1 Kd7 20. ec1 Dc4 21. e4 e6 22. b3 d:a3 23. e5 eb8 24. ea1 Db5 25. ed2 Kf8 26. Dc5 Kc8 27. ea4 eb6 28. b4 Dc7 29. eea1 a5 30. ba eb2 31. e:b2 e:b2 32. Kc1 ec2 33. Ka3 Da6 34. Kf1 K:c5 35. K:c5 Dg7 36. Kd6 ed8 37. e4a2 e:a2 38. e:a2 ed7 39. eb2 ea7. აქ კორჩნოიმ დროს გადააცილა და მას წაგება ჩაეთვალა.

მატჩის ანგარიშია 2:1 (1 ყაიმი) კორჩნოის სასარგებლოდ.

თათრეთის ასსრ. ყაზანის დოსააფის წყალსამოტორო სპორტტექნიკური კლუბი ყველაზე ახალგაზრდაა რესპუბლიკაში. სპორტის განვითარებისთვის აქ ყოველგვარი პირობებია შექმნილი. სპორტსმენთა განკარგულებაშია სკუტერები, ნავები, გლისერები, აკვალანგები, ჰიდროკოსტიუმები.

• • •

სურათზე: წვრთნის დაწყებამდე.

ე. ლოგვინოვის ფოტო (საკადესი).



სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა მოსკოვში.

სურათზე: სარბოლი ავტომანქანა „ხადი-II-ე". მანქანის კონსტრუქტორები არიან ხარკოვის ავტომსაგზაო ინსტიტუტის სტუდენტები.

ვ. სოზინოვის ფოტო (საკადესი).

ჩვენს ეროვნულ ბიბლიოთეკაში

თქვენთვის, ახალგაზრდა სპორტსმენებო!

რიაზანელმა სტუდენტებმა ძვირფასი საგაზაფხულო საჩუქარი მიიღეს: მშენებლებმა ახალგაზრდებს ახალი სპორტის სასახლის სიმბოლური გასაღები გადასცეს.

ჯანმრთელობის კომპლექსში, რომელსაც „ბურევესტნიკი" ჰქვია, შედის 25-მეტრიანი საცურაო აუზი ექვსი ბილიკით, ორი თამაშების დარბაზი, საწვრთნელი ოთახები.

უკვე მოეწყო პირველი შეჯიბრებები ცურვაში, კალათბურთში, ფრენბურთში.

„ბურევესტნიკი" მეშვიდე სპორტული კომპლექსია, რომელიც რიაზანში ხუთწლედის დასაწყისიდან დღემდე აიგო.

ა. ტროფიმოვი. (საკადესის კორ.).

რიაზანი.

ყველა ტყვია — ცენტრში

ლვოვში ტყვიის მსროლელთა საკავშირო შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვლინდა კიდევ ერთ ვარჯიშში. წოლელა მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში მოასპარეზენიც ვარჯიშს ორ-ორჯერ ასრულებდნენ და უძლიერესი ორივე ცდის ჯამით ვლინდებოდა. ბლაგოვეშჩენსკელმა გ. ლუშჩენკომ თავდაპირველი 60 გასროლით 590 ქულა მოაგროვა და მხოლოდ XV ადგილზე იყო, მაგრამ მეორე დღეს ყველა ტყვია სამიზნის ცენტრს მოახვედრა და 600 ქულა მოაგროვა. ეს 1 ქულით სჯობს ლი ხო ჯუნის (კორეის სახალხოდემოკრატიული რესპუბლიკა) მიერ 1972 წელს დამყარებულ მსოფლიო მიღწევას, მაგრამ ლუშჩენკოს მაჩვენებელი რეკორდად არ დამტკიცდება, ვინაიდან იგი ეროვნულ ტურნირშია ნაჩვენები.

საბოლოოდ ლუშჩენკომ 1200 შესაძლებლიდან 1190 ქულა მოაგროვა და I ადგილი დაისაკუთრა.

სოხუმიდან ბათუმამდე

წინა ნომერში ჩვენ დავბეჭდეთ საქართველოს მრავალდღიანი ველოსრბოლის ტექნიკური შედეგები 4 ეტაპის ჯამში. ახლა გთავაზობთ ეტაპებზე გამარჯვებულთა სამეულებს.

I ეტაპი. სოხუმი — გუდაუთა — სოხუმი (100 კმ). 1. ა. სამუტოვი („ბურევესტნიკი") — 2:27.27, 2. ა. ცხოვრებაძე („დინამო") — 2:28.40, 3. დ. კობაიძე („ბურევესტნიკი") — 2:28.50.

II ეტაპი. სოხუმი — ზუგდიდი (105 კმ). 1. ი. შმეია (პოლონეთი) — 2:39.55, 2. გ. პლოხინოვი („სპარტაკი") — 2:39.55, 3. ჰ. ნიკსა (პოლონეთი) — 2:39.55.

III ეტაპი. ზუგდიდი — ქუთაისი (105 კმ). 1. ა. გალსტიანი (სომხეთი I) — 2:26.40, 2. ო. ქათამაძე („განთიადი") — 2:26.40, 3. ა. კოსტეცკი („ბურევესტნიკი") — 2:26.40.

IV ეტაპი. ქუთაისი — ბათუმი (144 კმ). 1. ა. სამუტოვი — 3:37.20, 2. ა. ცხოვრებაძე — 3:37.23, 3. დ. კობაიძე — 3:37.55.

ახალი სპორტული კოლეჯი

ინდოეთის მრავალრიცხოვანი სასწავლებლების სიას სპორტული კოლეჯიც შეემატა. დელის ზოშიჯხავე ტერიტორიისა და ხარიანის შტატის საზღვარზე, გხოჯაში მდებარე ეს სასწავლებელი ამზადებს ფიზიკური აღზრდის ინსტრუქტორებს სასოფლო რაიონებისთვის.

... ერთ წელზე ცოტა მეტი ხნის წინათ დელის მომიჯნავე ტერიტორიაზე მდებარე სოფლებისა და დაბების მცხოვრებთა დეპუტაციამ ინდოეთის პრემიერ-მინისტრს ი. განდის სთხოვა დახმარება სასწავლებლის დაარსებაში, რომელიც ხელს შეუწყობდა სოფლის სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფას, ფიზკულტურის ინსტრუქტორთა კადრების მომზადებას. და აი, ახალი კოლეჯი, რომლის მშენებლობაზეც თავისი სურვილით მუშაობდნენ გხოჯის, ნერელის, ბხავნის, მეხრაუდისა და სხვა სასოფლო დასახლებული პუნქტების მცხოვრებნი, მალე პირველ სპეციალისტებს გამოუშვებს.

კურსზე სწავლობს 340 კაცი, რომლებიც სპორტის 15 სხვადასხვა სახეობაში ოსტატდებიან. მთავარი ყურადღება ეროვნულ სახეობებს ეთმობა.

საკადესის კორესპონდენტთან საუბარში კოლეჯის ხელმძღვანელმა ს. შარმამ აღნიშნა, რომ ახალი სასწავლებლის მოსწავლეები 90 სასოფლო დასახლებულ პუნქტში არიან შერჩეული.

— ჩვენი აზრით, — თქვა შარმამ, — ასეთი ტიპის სასწავლებლები ძალიან დიდ როლს ასრულებენ. ქალაქის ახალგაზრდობას კულტურული დასვენების გაცილებით მეტი საშუალება აქვს. სოფლად, განსაკუთრებით ქვეყნის შორ რაიონებში, მოსახლეობას ასეთი შესაძლებლობა ნაკლებად ეძლევა. სპორტული შეჯიბრებების ორგანიზაცია, სპორტში სოფლის ახალგაზრდობის ფართოდ ჩაბმა ხელს შეუწყობს დასვენების პრობლემის გადაჭრას.

უნდა ითქვას, რომ ინდოეთის ბევრი ცნობილი, საერთაშორისო სარბიელზე სახელმოხვეჭილი სპორტსმენი სწორედ სოფლადაა გაზრდილი. მაგრამ ისინი უმეტესად თვითხასწავლი სპორტსმენები არიან. ჩვენს კოლეჯში მომზადებული ინსტრუქტორები, რომლებსაც ღრმა ცოდნა და მუშაობის მეთოდური ჩვევები ექნებათ, ნიჭიერ სპორტსმენებს მაღალი შედეგებისკენ გაუკაფავენ გზას.

მუშაობის პირველმა წელმა გვიჩვენა, რომ კოლეჯი დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამიტომ გადაწყდა, რომ გხოჯა ინდოეთის სასოფლო რაიონებისთვის სპორტსმენთა და მწვრთნელთა მომზადების დიდ ცენტრად იქცეს.

ა. არხიპოვი. (საკადესის კორ.).

დელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სროლა

ბუქარესტი. ღია ცის ქვეშ რუმინელ ტყვიის მსროლელთა პირველივე შეჯიბრებაში კ. იონმა მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სწრაფსროლაში 598 ქულა მოაგროვა. ეს იტალიელი ჯ. ლავერძინის მიერ 1970 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდის გამეორებაა, მაგრამ მსოფლიო მიღწევად არ შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან ეროვნულ ტურნირშია ნაჩვენები.

ცურვა

ედინბურგი. 50-მეტრიან აუზში გაიმართა შოტლანდიის, ინგლისის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. გაიმარჯვეს ინგლისელებმა.

კრივი

ტოკიო. აქ გაიმართა მჩატე წონის პროფესიონალი მოკრივეების — იაპონელი ი. სუძუკისა და მექსიკელი ე. გონზალესის მატჩი მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის. სუძუკიმ მეტოქე მე-8 რაუნდში ნოკაუტით დაამარცხა.

მოტოსპორტი

რუანი (საფრანგეთი). მოტოკროსში აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში იმარჯვეს ინგლისელებმა დ. სმარტმა და უ. მორტიმერმა, რომლებმაც I და III ადგილები დაიკავეს. II ადგილზეა ე. გილი (საფრანგეთი).

წყალბურთი

სოფია. იუნიორ წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც ექვსი გუნდი გამოდიოდა, ყველას რუმინეთისა და უნგრეთის კოლექტივებმა აჯობეს: 8-8 ქულა დაგროვეს. რუმინელებს ბურთების უკეთესი ბალანსი აღმოაჩნდათ. III ადგილზეა პოლონეთის გუნდი — 5 ქულა. ჩეხოსლოვაკიის წყალბურთელებსაც ამდენივე ქულა აქვთ.

ავტოსპორტი

ნაირობი. აღმოსავლეთ აფრიკის ავტორალის „საფარის" პირველი ეტაპი მოიგო ფინელი ჰ. მიკოლას და ფრანგი ჟ. ტოდის დუეტმა, რომელიც „პეჟო 504-ით" ასპარეზობს. მათ 227 საჭარიმო ქულა დაუგროვდათ. 3 ქულით მეტი აღმოაჩნდა შვედი ე. ვალეგარდის ეკიპაჟს. III ადგილზე იყო ასევე შვედი ო. ანდერსონის ეკიპაჟი — 234. მეორე ეტაპზე, რომელიც ლემოლიოდან ნაირობამდე გრძელდებოდა, ყველას ვალეგარდ — ტორელიუსის მანქანა „პორშემ" აჯობა. კენიელების ეროვნდერ — დოას წყვილი ფინიშთან მეორე იყო.

სხვადასხვა

ლონდონი. როგორც დიდ ბრიტანეთის სპორტის მინისტრმა დ. ჰაუელმა განაცხადა, წლეულს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხა ინგლისში 10 მილიონი გირვანქა სტერლინგით შემცირდა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ეუსტოთის ფეხბურთის ჯვეჯი

ისევ კუბალა

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უხეიროდ გამოსვლის მიუხედავად, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა ნაკრების სათავეში ისევ კუბალა დატოვოს: მასთან ხელი მოაწერეს ახალ, ორწლიან კონტრაქტს.

კუბალას დაევალა გუნდის მომზადება ევროპის მომავალი ჩემპიონატისთვის.

გურუშაზიული სპორტის ჩვევები

კრივი ბიზნესის ფესვების მიზეზვით

იაპონიის რინგებზე ბოლო წლებში 30-ზე მეტი პროფესიონალი მოკრივე დაიღუპა. მეხსიერებიდან ჯერ კიდევ არ წაშლილა ბევრი მათგანის დაღუპვა, მაგალითად, 22 წლის იაპონელი მოკრივის ნ. ოიკავას სიკვდილი. ფილიპინელ ფ. ზაიასთან შეხვედრაში იგი ნოკაუტში ჩავარდა და ისე დალია სული, რომ გონს არ მოსულა. იაპონიის სპორტული მიმომხილველები მაშინ წერდნენ, ოიკავა მატჩისთვის მზად არ იყო და რინგზე გასვლის წინ ელემენტარული საექიმო შემოწმებაც არ გაუვლიაო.

კომენტატორები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ სამედიცინო კონტროლის უგულებელყოფა ხშირად იქცევა ხოლმე მოკრივეთა სიკვდილის მიზეზად.

პროფესიული კრივი რაღაცით მაინც ჰგავს სპორტს, ხოლო ეგრეთწოდებულ კიკრივს, რომელსაც ყოველ კვირას უჩვენებენ იაპონიის ტელევიზიით, მასთან საერთო მართლაც არაფერი აქვს. მეტოქეებს აქ უფლება ეძლევათ ერთმანეთს ურტყან როგორც ხელით, ისე ფეხით. დარტყმა შეიძლება ნებისმიერ ადგილზე, შეუზღუდავად. ეს კანონით აღიარებული ცემა-ტყეპა ჩვეულებრივ იმით მთავრდება, რომ ერთ-ერთი პარტნიორი სარბიელიდან საკაცით გააქვთ. მაგრამ „მატჩების" ორგანიზატორები ამას არ დაგდევენ, მხოლოდ იმას ცდილობენ, რომ ამ ველური სანახაობით რაც შეიძლება მეტი ფული მოიგონ.

იაპონიაში ბევრი პროტესტს აცხადებს კიკრივისა და მისი ტელევიზიით ჩვენების წინააღმდეგ, ვინაიდან ეს პირველ ყოვლისა ბავშვების აღზრდაზე ახდენს მავნე გავლენას. მაგრამ ბიზნესს ეს საზრუნავი არ აწუხებს. მთავარია ფული.

მ. დემჩენკო. (საკადესის კორ.).

ტოკიო.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

УЦ 02559